



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის
ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის
დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები

მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

მთავარმა მეცნიერმა თანამშრომელმა უნდა იცოდეს:

- ✓ სამეცნიერო კვლევების განვითარების პრობლემები და მიმართულებები;
- ✓ ადგილობრივი და უცხოური მიღწევები მეცნიერებათა შესაბამის დარგებში;
- ✓ სამეცნიერო კვლევა-ძიებათა ორგანიზებისა და ჩატარების თანამედროვე მეთოდები და საშუალებები.

მთავარ მეცნიერ-თანამშრომელს უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში:

- ✓ გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 5 სამეცნიერო ნაშრომისა (მონოგრაფია ან/და სტატია სამეცნიერო ჟურნალში), რომელთაგან სასურველია 3 მაინც - მაღალრეიტინგულ, საერთაშორისო მასშტაბით რეცენზირებად და რეფერირებად (მაგ., Elsevier scopus, Web of Science და სხვა ბაზებში განთავსებულ) გამოცემებში;
- ✓ არანაკლებ 5 მოხსენებით უნდა იყოს გამოსული ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში.

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა უნდა იცოდეს:

- ✓ ინფორმაცია საქართველოში და უცხოეთში მის თემატიკაში მიმდინარე სამეცნიერო კვლევა-ძიებების შესახებ;
- ✓ კვლევა-ძიებების ორგანიზების თანამედროვე მეთოდები და საშუალებები.

უფროს მეცნიერ თანამშრომელს უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში:

- ✓ გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 3 სამეცნიერო ნაშრომისა (მონოგრაფია ან/და სტატია სამეცნიერო ჟურნალში), რომელთაგან სასურველია 1 მაინც - მაღალრეიტინგულ, საერთაშორისო მასშტაბით რეცენზირებად და რეფერირებად (მაგ., Elsevier scopus, Web of Science და სხვა ბაზებში განთავსებულ) გამოცემებში;
- ✓ არანაკლებ 3 მოხსენებით უნდა იყოს გამოსული ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში.

მეცნიერი თანამშრომელი

მეცნიერმა თანამშრომელმა უნდა იცოდეს:

- ✓ მისი მონაწილეობით მიმდინარე კვლევა-ძიებების მიზნები და ამოცანები;
- ✓ ინფორმაცია საქართველოსა და უცხოეთში ანალოგიური შინაარსის სამეცნიერო კვლევების შესახებ;
- ✓ მიღებული ინფორმაციის დამუშავების, განზოგადებისა და კვლევების ორგანიზების თანამედროვე მეთოდები.